საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახურის
სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო
უსაფრთხოების სერვისების სააგენტო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
STATE SUBORDINATE ENTITY - EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE
LEPL STATE RESERVES AND CIVIL
PROTECTION SERVICES AGENCY

22/04/2026

MIA 2 26 01379531

შპს "სპორტმშენსერვისი"-ს დირექტორის
მინდობილ პირს, ალექსანდრე ნამორაძეს

ბატონო ალექსანდრე,

თქვენი, მიმდინარე წლის 15 აპრილის N1293656 განცხადების საფუძველზე, ჩატარდა ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში მდებარე (ს/კ: 01.72.14.009.696), შპს "სპორტმშენსერვისი"-ს (ს/ნ: 204878542) სპორტული დარბაზის შენობა-ნაგებობის სახანძრო-ტენიკური შემოწმება, სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად და შესაბამისი წინადადებების მომზადების მიზნით.

ობიექტის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების შედეგების საფუძველზე შედგენილი 2026 წლის 17 აპრილის N178 აქტით დგინდება, რომ ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობაში (ს/კ: 01.72.14.009.696) მდებარე შპს "სპორტმშენსერვისი"-ს (ს/ნ: 204878542) შენობა-ნაგებობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს.

დანართი: სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი N178 - "5" (ხუთი) ფურცლად.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო

3300, მცხეთა, ფარნავაზ მეფის №1
ტელ: (+995 32) 241 41 12
ელ.ფოსტა: service@es.gov.ge

1, Pharnavaz Mepe str. Mtskheta 3300, Georgia
Tel: (+995 32) 241 41 12
E-Mail: service@es.gov.ge

სიტუაციების მართვის სამსახური
სსიპ-სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო
უსაფრთხოების სერვისების სააგენტო
სასწავლო ცენტრი (სამმართველო)
ცენტრის უფროსი /სამმართველოს უფროსი/
ქავთარაძე არჩილ

17/04/2026

MIA 7 26 01331231

შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება -
საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის
სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო
უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს
უფროსის მოვალეობის შემსრულებელს **არჩილ ქავთარაძეს**

ბატონო არჩილ,

თქვენი, მიმდინარე წლის 15 აპრილის N1296288 პატაკის საფუძველზე, შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის პრევენციისა და რეაგირების სამმართველოს ინსპექტორების მიერ, განხორციელებული იქნა ქ. თბილისი, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში მდებარე (ს/კ: 01.72.14.009.696), **შპს "სპორტმშენსერვისი"-ს (ს/ნ: 204878542)** სპორტული დარბაზის შენობა-ნაგებობის სახანძრო-ტენიკური შემოწმება, სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად და შესაბამისი წინადადებების მომზადების მიზნით.
ობიექტის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების შედეგების საფუძველზე შედგენილი N 178 აქტით დგინდება, რომ ქ. თბილისი, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობაში (ს/კ: 01.72.14.009.696) მდებარე **შპს "სპორტმშენსერვისი"-ს (ს/ნ: 204878542)** შენობა-ნაგებობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა **შეესაბამება** სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს.

დანართი: შესაბამისობის აქტი N178 - "5" (ხუთი) ფურცლად.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
კუჭაშვილი დავითი



სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის
სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის
ა ქ ტ ი № 178

თბილისი 17-04-2026

ობიექტის დასახელება: შპს სპორტმშენსერვისი - სპორტული დარბაზი

ობიექტის მისამართი : ქ. თბილისი, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა (ს/ნ 01.72.14.009.696) (ვაკე-საბურთალო)

საიდენტიფიკაციო ნომერი: 204878542

ობიექტის მფლობელი/მესაკუთრე: შპს სპორტმშენსერვისი

ობიექტის ხელმძღვანელის სახელი, გვარი, პირადი ნომერი: თორნიკე ტყეშელაშვილი,01003001168

შემოწმებაში მონაწილე ობიექტის წარმომადგენელი: წარმომადგენელი - მიხეილ შაყულაშვილი.

ობიექტის შემოწმების განმახორციელებელი ზედამხედველობის ინსპექტორ(ებ)ი:

- ნუგზარი კვინტრაძე - უფროსი ინსპექტორი
- ემზარი პაპოშვილი - ინსპექტორი
- ლაშა ვეზდენი - ინსპექტორი

შემოწმების თარიღი : 17-04-2026 დან 17-04-2026 მდე

ობიექტის შემოწმების საფუძველი : შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს პატაკი N 1296288 (15/04/2026)

ობიექტის შენობა-ნაგებობები რაზედაც ჩატარდა სახანძრო-ტექნიკური შემოწმება გამოკვლევა: ქ. თბილისი, დიღმის სასწ. საცდელ მეურნეობაში (ს/ნ 01.72.14.009.696) მდებარე სპორტული დარბაზი (სამბოს დარბაზი - ორსართულიანი);

ჩატარებული სახანძრო-ტექნიკური შემოწმების (გამოკვლევის) საფუძველზე შედგა წინამდებარე აქტი:

1. ობიექტზე (შენობა-ნაგებობა) სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესრულების ანალიზი და შეფასება:

(აღინიშნება სახანძრო უსაფრთხოების საორგანიზაციო ღონისძიებათა, ტექნიკურიმრეგლამენტით გათვალისწინებული დოკუმენტების, ბრძანებების, ინსტრუქტაჟების შესაბამისი ინსტრუქციების და სხვათა არსებობა. შესაბამისობა ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან.)

ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ (ფუნქციონირების დაწყებისთანავე), საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N 370-ე დადგენილების ტექნიკური რეგლამენტის „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ“ მოთხოვნების შესაბამისად უზრუნველყოფილი უნდა იქნას შემდეგი ღიონისძიებების შესრულება:

- თანამშრომლებთან ჩატარებული უნდა იქნას სწავლება სახანძრო უსაფრთხოების წესების შესახებ, ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის ჩატარების გზით;

- ობიექტზე ბრძანებით უნდა დაინიშნოს ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ტექნიკური საშუალებების

ეფექტური მუშაობის უზრუნველსაყოფად ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ექსპლუატაციაზე, ტექნიკურ მომსახურებაზე, მათ შეკეთებაზე, დაცვასა და გამოყენებისათვის მზადყოფნაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი;

- უზრუნველყოფილი უნდა იქნას ობიექტზე ნახევარ წელიწადში ერთხელ შენობაში ხანძრის დროს თანამშრომლების მოქმედებების გავარჯიშება, შენობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ყველა ელემენტის გამართული მუშაობის შემოწმების პარალელურად;

- შემუშავებული უნდა იქნას ინსტრუქცია ობიექტზე მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების ზომების შესახებ;

2. ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების არსებობა და შეფასება:

(აღინიშნება ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების არსებობა და შესაბამისობა ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებთან)

ობიექტის სართულები დაკომპლექტებულია ხანძრის ჩაქრობის პირველად საშუალებებით, დასაცავი ფართობის და სათავსის ტიპის გათვალისწინებით, რაც შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.

3. ობიექტის (შენობა-ნაგებობა) საევაკუაციო გზებისა და გასასვლელების შეფასება:

(აღინიშნება ობიექტის საევაკუაციო გზებისა და გასასვლელების შესაბამისობა ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებთან)

სპორტული დარბაზის შენობას გააჩნია სახანძრო უსაფრთხოების ნორმებით გათვალისწინებული საევაკუაციო გასასვლელები, რაც შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.

4. ელექტრომოწყობილობების და ელექტროქსელების მდგომარეობის შეფასება:

(აღინიშნება ელექტრომოწყობილობების და ელექტროდანადგარების მოწყობის შესაბამისობა ნორმატიულ მოთხოვნებთან, ელექტროქსელების მონტაჟის და ექსპლუატაციის მდგომარეობა და სხვ)

ობიექტის ელექტრომოწყობილობების და ელექტროქსელის ზოგადი მდგომარეობა აკმაყოფილებს „ელექტროუსაფრთხოების სტანდარტი“-ს მოთხოვნებს;

5. კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის და გათბობის სისტემების მდგომარეობის შეფასება:

(აღინიშნება სავენტილაციო კამერების, მზღუდავი კონსტრუქციების, არხების, ჰაერსატარების ცეცხლმედეგობის ხარისხის, გაყვანისა და მონტაჟის, აგრეთვე თბომაგენერირებელი სისტემების მოწყობის შესაბამისობა ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებთან)

შენობა-ნაგებობის სპორტული დარბაზის სივრცეში და ორივე სართულის დერეფნებში დამონტაჟებულია ხანძრის დროს კვამლსაწინააღმდეგო დაცვის კვამლის გამწოვი სისტემა, შესაბამისი ჰაერის კომპენსაციით (სუფთა ჰაერის მოდინებით);

ხანძრის დროს კვამლსაწინააღმდეგო დაცვის სისტემის შემოწმება განხორციელდა სპორტულ დარბაზისა და პირველი სართულის დერეფნის დაკვამლიანების გზით (კვამლის აპარატის საშუალებით). სახანძრო განგაშის ჩართვისას ავტომატურად გააქტიურდა შენობის სართულებზე დერეფნებსა და სპორტულ დარბაზში ხანძრის დროს კვმლსაწინააღმდეგო დაცვის კვამლის გამწოვი სისტემა (შესაბამისი ჰაერის მოდინებით).

სახანძრო განგაშის გააქტიურებისას, უზრუნველყოფილია შენობაში ჰაერის ვენტილაციის სისტემის

ავტომატურად გათიშვა;

კვამლსაწინააღმდეგო დაცვის სისტემის უწყვეტი ფუნქციონირებისათვის, ობიექტზე გათვალისწინებულია სათადარიგო ელექტრომომარაგება, დიზელის გენერატორის სახით, რაც შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.

6. სახანძრო სიგნალიზაციის მდგომარეობის შეფასება:

(აღინიშნება სახანძრო სიგნალიზაციის საჭიროება, მდგომარეობა, მისი ექსპლუატაციის წესების დაცვა და შესაბამისობა ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებთან)

სპორტული დარბაზის შენობაში დამონტაჟებულია სამისამართო ტიპის სახანძრო სიგნალიზაცია, რომელიც შესრულებულია კვამლზე მორეაგირე მაუწყებლებით (დეტექტორებით), ხელის სახანძრო განგაშის ღილაკებით და სამისამართო მართვის პანელით. სახანძრო სიგნალიზაციის მართვის მიმღებ-მაკონტროლებელი პანელი უზრუნველყოფილია სათადარიგო კვებით - აკუმულატორის სახით.

სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის შემოწმება განხორციელდა შენობის სართულებზე სახანძრო სიგნალიზაციის მაუწყებლის (დეტექტორის) გააქტიურების გზით, რა დროსაც გააქტიურებული დეტექტორების ადგილმდებარეობა (სათავსის ლოკაცია) მართებულად აღიქმება სახანძრო სიგნალიზაციის მართვის პანელის მიერ, რაც შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს;

ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ, ფუნქციონირების დაწყებისთანავე უზრუნველყოფილი უნდა იქნას სახანძრო სიგნალიზაციის მართვის ცენტრალურ პანელზე ოცდაოთხსაათიანი მონიტორინგი;

7. ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობის და ევაკუაციის მართვის სისტემების მდგომარეობის შეფასება:

(აღინიშნება ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობის და ევაკუაციის მართვის სისტემების საჭიროება, მდგომარეობა, მისი ექსპლუატაციის წესების დაცვა, საევაკუაციო განათების არსებობა და მდგომარეობა, ხანძრის დროს ადამიანთა ევაკუაციის გეგმების არსებობა, საევაკუაციო გზების მანიშნებელი ნიშნების არსებობა. შესაბამისობა ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებთან)

- ობიექტზე დამონტაჟებულია ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობისა და ევაკუაციის მართვის სისტემა, რომელიც შესრულებულია შეტყობინების ტონირებული, მაშუქი და ტექსტური გადაცემის (გამოცხადება) ფუნქციის მქონე მაუწყებლებით;

- ობიექტის საევაკუაციო გზებზე მოწყობილია ავარიული განათება;

- ობიექტის საევაკუაციო გზებზე და გასასვლელებში მოწყობილია საევაკუაციო გზებისა და გასასვლელის მაჩვენებელი მანათობელი ნიშნები;

- საევაკუაციო გზებზე თვალსაჩინოდ არის გამოკრული ხანძრის დროს ადამიანთა საევაკუაციო გეგმები;

სისტემის გამოცდა განხორციელდა შენობის სართულებზე სახანძრო სიგნალიზაციის კვამლზე მორეაგირე მაუწყებლების და ხელის სახანძრო განგაშის ღილაკების გააქტიურების გზით, რა დროსაც ხანძრის დროს ადამიანთა მაუწყებლობის და ევაკუაციის მართვის სისტემები მთელს შენობაში გააქტიურდა ავტომატურად. განგაშის სიგნალზე სამგზავრო ლიფტი ავტომატურად ჩამოდის პირველ, მიწისპირა სართულზე და რჩება ღია მდგომარეობაში (ბლოკირებული), რაც შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.

8. ობიექტის ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემების მდგომარეობის შეფასება:

(აღინიშნება ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემების საჭიროება, არსებულის მდგომარეობა, მისი ექსპლუატაციის წესების დაცვა და შესაბამისობა ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებთან)

შენობაში მოწყობილია ხანძრის წყლით ჩაქრობის ავტომატური სისტემა. ხანძრის ავტომატური ჩაქრობის სისტემების წყალმომარაგება უზრუნველყოფილია შენობის სარფის სართულზე, სატუმბო სადგურში განთავსებული ძირითადი, დამხმარე და ჟოკეი (JOKEY) ელექტროტუმბოების საშუალებით. სისტემის უწყვეტი ფუნქციონირებისათვის ობიექტზე გათვალისწინებულია სათადარიგო ელექტრომომარაგება, დიზელის გენერატორის სახით.

სატუმბო სადგურის სათავსში გამოკრულია ხანძრის ავტომატური ჩაქრობის სისტემების მოწყობის სქემა და დანადგარის მართვის ინსტრუქცია, რაც შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.

9. ობიექტის ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების შეფასება:

(აღინიშნება შიდა და გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების სისტემების მდგომარეობა, საჭიროება და მათი შესაბამისობა ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებთან)

სპორტული დარბაზის შენობაში მოწყობილია შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების სისტემა, სართულებზე სახანძრო ონკანები დაკომპლექტებულია სახელოებითა და ლულებით.

შენობის სართულებზე დახურულ კიბის უჯრედებთან დერეფანში მოწყობილია DN 77 მმ-იანი სახანძრო-სამაშველო დანაყოფის მისაერთებლები;

შენობის ხანძარქრობისათვის გარე წყალმომარაგების წყლის წყაროს სახით შესაძლებელია გამოყენებული იქნას სპორტული დარბაზის ეზოს შენობიდან დაახლოებით 10 მეტრის მანძილზე დამონტაჟებული მიწისზედა სახანძრო ჰიდრანტი.

10. აფეთქებახანძარსაშიში ნივთიერებათა შენახვის პირობების შეფასება:

(აღინიშნება აფეთქებახანძარსაშიში ნივთიერებათა შენახვის პირობები და მათი შესაბამისობა ტექნიკური რეგულირების დოკუმენტების მოთხოვნებთან)

ობიექტზე სახანძრო-ტექნიკური შემოწმების (გამოკვლევის) განხორციელების პროცესში აფეთქებახანძარსაშიში ნივთიერებათა შენახვა არ ხორციელდება/არ ფიქსირდება.

შემაჯამებელი შეფასება ობიექტის შესაბამისობის შესახებ:

☑ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ზედამხედველობის ინსპექტორი: ხელმოწერა

ნუგზარი კვინტრაძე



ემზარი პაპოშვილი



ლაშა ვეზდენი

